ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№გ-19/0118191436-17
"10" - 10 2018 წ

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, სოფელ ლისში (საკ. კოდი №01.14.16.007.057) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (2 (ორი) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3136799 09.03.2017წ.

ინსპექციის სპეციალისტების მიერ სექტორი - ვაკე, სოფელ ლისში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-4" ფასადზე: -1.20 ნიშნულზე მოწყობილია საყვავილეები. "2-3" მონაკვეთში +9.60 ნიშნულზე შეცვლილია საბურავის ფორმა. დამატებით მოწყობილია გათბობის ქვაბი და გამწოვი მილები.

„4-1" ფასადზე: ±0.00 ნიშნულზე "3-2" მონაკვეთში კარებთან დამატებულია ბაქანი და საფეხურები. დამატებით მოწყობილიაგამწოვი მილები.

„ა-გ" ფასადზე: "ა-ბ" მონაკვეთში და "ა" ღერძის გარეთ +2.50 მოწყობილია გამწოვი მილი ხოლო +12.40 ნიშნულზე გამწოვები.

„გ-ა" ფასადზე: +12.40 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამწოვები.

"გეგმის მიხედვით": "4-1" მონაკვეთში მოწყობილია სარინელი, ხოლო "3-2" მონაკვეთში ბეტონის ბილიკი. ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა.

±0.00 ნიშნულზე გაუქმებულია ქვით მოპირკეთება, ამავე ნიშნულზე ვიტრაჟებზე დამატებით მოწყობილია მოაჯირები. შეცვლილია მოაჯირების ნახატი, საბურავის ფერი. ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. კედელი სცდება საკადასტრო ხაზებს.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "ენ კაპიტალი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, სოფელ ლისში (საკ. კოდი №01.14.16.007.057) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (2 (ორი) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0118191436-17 10.07.2018წ. განცხადება.
№წ-19/0118191436-17 13.07.2018წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-0118284385
თარიღი: 11/10/2018
გვერდი: 6531

ადრესატი: დავით ლომიძე
პირადი ნომერი: 01005006682
მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას I შეს. N 3 ბ. 238

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

თქვენი N19/0118191439-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების ერთი ეგზემპლარი.

გიორგი გეგაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ტ. შარტავას, 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ბ-19/0118191439-17-1

"16" 10 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, სოფელ ლისში (საკ.კოდი №01.14.16.007.057) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (2 (ორი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-19/0118191439-17 10.10.2018წ. ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

2018 წლის 10 ოქტომბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ ექსპლუატაციაში არ იქნა მიღებული ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, სოფელ ლისში (საკ.კოდი №01.14.16.007.057) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (2 (ორი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი) №ბ-19/0118191439-17 10.10.2018წ. ბრძანებით, რომელშიც დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი, ბრძანების სამოტივაციო ნაწილში არასწორად მიეთითა ერთ-ერთი არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევა „კედელი სცდება საკადასტრო საზღვრებს".

ინსპექციამ იმსჯელა ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე, შეისწავლა საქმეზე არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები და დადგინდა, რომ №ბ-19/0118191439-17 10.10.2018წ. ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა საჭიროებს ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის №ბ-19/0118191439-17 10.10.2018წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ერთ-ერთი დარღვევა კედელი სცდება საკადასტრო საზღვრებს". ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის №ბ-19/0118191439-17 10.10.2018წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-01182893847
თარიღი: 16/10/2018
პინი: 7379

ადრესატი: დავით ლოშიძე
პირადი ნომერი: 01005006682
მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას I შეს. N 3

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

გეგზავნებათ ბრძანება ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

დანართი: ერთი ეგზემპლარი.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ვ. ბერიძეების, 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01183261586**
თარიღი: **22/11/2018**
პინი: **8577**

ადრესატი: შპს ენ კაპიტალი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405050661
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას I შეს., N 3, ბ. 228

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01183131839-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, სოფელი ლისი, (საკ. კოდი N 01.14.16.007.057), მდებარე ობიექტის (2 (ორი) ინდივიდუალური ერთბინიანი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ „1-4" ფასადზე დემონტირებულია დამატებით მოწყობილი გათბობის ქვაბი და გამწოვი მილები; „4-1" ფასადზე დემონტირებულია დამატებით მოწყობილი გამწოვი მილები; დემონტირებულია ასევე „ა-გ" ფასადზე „ა-ბ" მონაკვეთში და „ა" ღერძის გარეთ +2.50 ნიშნულზე მოწყობილი გამწოვი მილი, ხოლო +12.40 ნიშნულზე-გამწოვები; „გ-ა" ფასადზე +12.40 ნიშნულზე დემონტირებულია დამატებით მოწყობილი გამწოვები".

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი